

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

# სარჩელი
# ადმინისტრაციულ საქმეზე

*შტამპის ადგილი*

## მოსარჩელე: შენიშვნა-1

| | | |
|---|---|---|
| ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" | 204952767 | თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-2 |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3 | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 29 27 73 | | 2 22 38 74 | ngujaraidze@greenalt.org |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## მოსარჩელის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

| | | |
|---|---|---|
| ნინო გუჯარაიძე<br>ირმა მახათაძე | 01015010047<br>18001007618 | თბილისი, 0179, ბაქრაძის ქ. №19<br>თბილისი, საბურთალოს ქ.№7/19 |
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 599 902 520<br>599 717 407 | | ngujaraidze@greenalt.org |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## მოპასუხე: შენიშვნა-5

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს მთავრობის კანცელარია<br>საქართველოს მთავრობა | | 0134, თბილისი, ინგოროყვას 7 |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-6 |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

შენიშვნა-8

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*ნიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-9

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშა ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

# დავის საგანი

შენიშვნა-11

ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შენიშვნა-12

# დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2011 წლის 4 აპრილს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" განცხადებით მიმართა (დანართი 1.) საქართველოს მთავრობას და მოითხოვა საქართველოს მთავრობის 2010 წლის №415, №418, №420, №421, №424, №425 და №431 განკარგულებების ასლების და ასევე ამ აქტების მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის ასლების (განმარტებითი ბარათები და/ან სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ განკარგულებების გამოცემის შესახებ), ასევე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №416, 2010 წლის 30 მარტის №417 და 2010 წლის 10 აპრილის №432 განკარგულებების მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტების ასლების გადმოცემა.

საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის წერილით (დანართი 2.) ირკვევა, რომ განცხადებით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანცელარიას მიღებული აქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, რაზედაც ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ეცნობა 2010 წლის 10 სექტემბრის #24/140 წერილით.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" ადმინისტრაციული საჩივარი (დანართი 3.) წარადგინა საქართველოს მთავრობაში 2011 წლის 15 მაისს და მოითხოვა დაევალოს საქართველოს მთავრობას გადასცეს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" 2011 წლის 6 აპრილის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 10 ივნისის #25/57 წერილით (დანართი 4.) გვეცნობა, რომ

ადმინისტრაციულ საჩივარში დასმულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება სასამართლოში. გარდა ამისა, მოცემულ საკითხზე საქართველოს კანცელარიას მიღებული აქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, რის გამოც ზაკ–ის 182–ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველად.

მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, დადგენილი და დადასტურებულია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განახორციელა საჯარო უფლებამოსილება კანონმდებლობის შესაბამისად და არ გადმოსცა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რითაც დაარღვია ასოციაციის კანონიერი უფლებები და ინტერესები. წინამდებარე ადმინისტრაციული სარჩელი სწორედ დარღვეული უფლების რეალიზაციის ერთადერთი საშუალებაა.

შენიშვნა-13

# დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. ფაქტობრივი გარემოება

2011 წლის 4 აპრილს ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ" განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა საქართველოს მთავრობის 2010 წლის №415, №418, №420, №421, №424, №425 და №431 განკარგულებების ასლების და ასევე ამ აქტების მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის ასლების (განმარტებითი ბარათები და/ან სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ განკარგულებების გამოცემის შესახებ) ასევე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №416, 2010 წლის 30 მარტის №417 და 2010 წლის 10 აპრილის №432 განკარგულებების მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტების ასლების გადმოცემა.

მტკიცებულება:

ა. დანართი 1. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2011 წლის 4 აპრილის განცხადება

2. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის წერილის თანახმად განცხადებით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანცელარიას მიღებული აქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, რაზედაც ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ეცნობა 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილით.

მტკიცებულება:

ა. დანართი 2. საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის წერილი

3. ფაქტობრივი გარემოება

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს მთავრობაში 2011 წლის 15 მაისს და მოითხოვა დაევალოს საქართველოს მთავრობას გადასცეს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" 2011 წლის 6 აპრილის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მტკიცებულება:

ა. დანართი 3. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივარი

4. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 10 ივნისის №25/57 წერილით გვეცნობა, რომ ადმინისტრაციულ საჩივარში დასმულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება სასამართლოში. გარდა ამისა, მოცემულ საკითხზე საქართველოს კანცელარიას მიღებული აქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, რის გამოც ზაკ–ის 182–ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველად.

მტკიცებულება:

ა. დანართი 4. საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 10 ივნისის №25/57 წერილი

5. ფაქტობრივი გარემოება

2010 წლის 13 აგვისტოს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" განცხადებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის მარტისა და აპრილის განმავლობაში გამოცემული ზოგიერთი განკარგულების (№ 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433 და 434) ასლების, ასევე ამავე განკარგულებების მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის ასლები. ამ თხოვნის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობის კანცელარიის საოქმო სამმართველოს უფროსმა 2010 წლის 10 სექტემბრის წერილით გვირჩია, მიგვემართა იმ სამინისტროებისა და უწყებებისთვის, რომლებმაც განახორციელეს მოთხოვნილი სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება.

მტკიცებულება:

დანართი 8. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2010 წლის 13 აგვისტოს განცხადება #04/03-213;

დანართი 9. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2010 წლის 10 სექტემბრის წერილი #24/140;

6. ფაქტობრივი გარემოება

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის წლის 17 მარტის #3/3969-10 განჩინებით ასოციაცია"მწვანე ალტერნატივას" სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება სსსკ–ის 272–ე მუხლის "ა" პუნქტის საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების განხილვა საქართველოს მთავრობის კანცელარიას ექვემდებარებოდა უწყებრივად და რომ საქართველოს მთავრობა და საქართველოს მთავრობის კანცელარია წარმოადგენს სხვადასხვა უწყებრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს.

მტკიცებულება:

დანართი 5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის #3/3969-10 განჩინება

7. ფაქტობრივი გარემოება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ასოციაცია"მწვანე ალტერნატივას" კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის #3/3969-10 განჩინების გაუქმების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობა და საქართველოს მთავრობის კანცელარია სხვადასხვა უწყებრივი ქვემდებარეობის მქონე ადმინისტრაციული ორგანოებია.

მტკიცებულება:

დანართი 6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინება, საქმე №3ბ/742-11;

დანართი 7. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" კერძო საჩივარი, 2011 წლის 19 აპრილი.

# ᲡᲐᲡᲐᲠᲩᲔᲚᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ

შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

დაევალოს საქართველოს მთავრობის კანცელარიას საქართველოს მთავრობის 2010 წლის №415, №418, №420, №421, №424, №425 და №431 განკარგულებების ასლების და ასევე ამ აქტების მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის ასლების (განმარტებითი ბარათები და/ან სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ განკარგულებების გამოცემის შესახებ) ასევე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №416, 2010 წლის 30 მარტის №417 და 2010 წლის 10 აპრილის №432 განკარგულებების მიღების აუცილებლობის დამასაბუთებელი დოკუმენტების ასლების გადმოცემა.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–10 მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის 24–ე მუხლი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24–ე, 33–ე პრიმა მუხლები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37–ე, მე–40 მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2011 წლის 15 აპრილისა და 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებები.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60 პრიმა მუხლი, 53–ე მუხლი, მე-13 თავი. ასკ–ის 23–ე, 33–ე მუხლები.

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

# მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-20

| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
|---|---|
| | |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| | |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| | |

შენიშვნა-21

| შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე. |
|---|
| 1. |

შენიშვნა-22

| შ ამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე. |
|---|
| 1. |

შენიშვნა-23

# სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-24

| |
|---|
| 1. მოთხოვნა |
| არგუმენტაცია: |

| |
|---|
| 2. მოთხოვნა |
| არგუმენტაცია: |

| დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას? | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | ვის? რომელი ენის მცოდნე? |
| **არა** | ☒ | |

°°°

| | | |
|---|---|---|
| **სარჩელის ფასი** | — | არაქონებრივი ლარი |
| შენიშვნა-25 | | |
| **სახელმწიფო ბაჟი** | — | 100 ლარი |
| შენიშვნა-26 | | |

| | |
|---|---|
| 1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? | დიახ ☐ არა ☒ |
| რომელი ნორმა? | |
| მტკიცებულება: | |
| 2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? | დიახ ☐ არა ☒ |
| რის საფუძველზე? | |
| მტკიცებულება: | |
| 3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? | დიახ ☐ არა ☒ |
| რის საფუძველზე? | |
| მტკიცებულება: | |
| 4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? | დიახ ☐ არა ☒ |
| რის საფუძველზე? | |
| მტკიცებულება: | |
| შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:<br>5. | |

შენიშვნა-27

| | | |
|---|---|---|
| გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა? | | |
| **დიახ** | ☒ | მტკიცებულება: წარმოდგენილია ადმინისტრაციული საჩივარი. |
| **არა** | ☐ | რადგან |

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;

» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;

» სასამართლო ხარჯები;

» სასამართლოსგარეშე ხარჯები;

» ყოველდღიური ხარჯები.

| | | |
|---|---|---|
| **თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?** | | |
| **დიახ** | ☒ | მორიგების პირობები: წარმოვადგენთ სასამართლო სხდომაზე. |
| **არა** | ☐ | რადგან |

შენიშვნა-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე გან ხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | |
| **არა** | ☒ | რადგან განსახილველი საქმე მნიშვნელოვანია მოსარჩელისათვის. |

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთი რადგან ეს დრო დასჭირდება ახსნა–განმარტების წარმოდგენას.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან საქმის განხილვა შესაძლებელია ერთ სასამართლო სხდომაზე.

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☒ | |
| **არა** | ☐ | რადგან |

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

| | | |
|---|---|---|
| ძირითად მისამართზე | დროის ოპტიმალური შუალედი: | 14:00 - 18:00 |

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☒ | |
| **არა** | ☐ | რადგან |

შენიშვნა-32

## თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 შენიშვნა-34

1. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2011 წლის 4 აპრილის განცხადება - 6 ფურცელი;
2. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2011 წლის 15 აპრილის წერილი - 1 ფურცელი;
3. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივარი, 2011 წლის 13 მაისი - 13 ფურცელი;
4. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2011 წლის 10 ივნისის წერილი #25/27 - 2 ფურცელი;
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის #3/3969-10 განჩინება - 5 ფურცელი;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინება, საქმე #3ბ/742-11 - 7 ფურცელი;
7. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" კერძო საჩივარი, 2011 წლის 19 აპრილი - 4 ფურცელი;
8. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2010 წლის 13 აგვისტოს განცხადება #04/03-213 - 1 ფურცელი;
9. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2010 წლის 10 სექტემბრის წერილი #24/140 - 2 ფურცელი;
10. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
11. რწმუნებულებები - 2 ფურცელი;
12. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა — 46

## სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

| | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1. | მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი. | ☒ | ☐ |
| 2. | მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი). | ☒ | ☐ |
| 3. | მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. | ☒ | ☐ |
| 4. | მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები. | ☒ | ☐ |
| 5. | მითითებულია დავის საგანი. | ☒ | ☐ |
| 6. | მითითებულია სარჩელის ფასი. | ☒ | ☐ |
| 7. | მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა. | ☒ | ☐ |
| 8. | მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა. | ☒ | ☐ |
| 9. | სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული. | ☒ | ☐ |
| 10. | სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე. | ☒ | ☐ |
| 11. | მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. | ☒ | ☐ |
| 12. | სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს). | ☒ | ☐ |
| 13. | სარჩელი ხელმოწერილია. | ☒ | ☐ |
| 14. | სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა. | ☒ | ☐ |

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

| სარჩელი ფორმალურად გამართულია: | სარჩელი ფორმალურად არაა გამართული: | *ხელმოწერა* | *სახელი და გვარი* |
|---|---|---|---|
| ☐ | ☐ *პუნქტების ჩამონათვალი* | | |

**ატვირთვის ბმული:** [http://tbappeal.court.ge/sf](http://tbappeal.court.ge/sf) **http://tbappeal.court.ge/sf**

შენიშვნა-35

**საიდენტიფიკაციო ნომერი:**

შენიშვნა-36

შენიშვნა-37 *ელ. ფოსტა:* *1st.instance@court.ge* ☐

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|---|---|---|
| | ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელი დირექტორი: ნინო გუჯარაიძე | 08/07/2011 წ. |
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი და გვარი | შევსების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.